**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი N24**

**ქ.თბილისი** **07.11.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**გიორგი კამკამიძე** - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე, (შემდგომში თავმჯდომარე);
**მაია მიქაშავიძე** - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის მდივანი;
**ნათელა სახოკია** - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
**თამარ ბრეგვაძე** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
**ნანა ცერცვაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**
**გიორგი ცხვედიანი** - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.
**ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტები:**
თამარ შენგელია,
ანა ლელაძე,
ნინო გაგელიძე;

**აკრედიტაციის ექსპერტები:**
მარინე მაისურაძე,
ეკატერინე ბაკარაძე,
თამარ ვალიშვილი,
ხათუნა საგანელიძე;

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**
**სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლები:**
გია გუგუშვილი,
ნინო ღაღანიძე,
ნანა ქუთათელაძე,
გიგა ბათიაშვილი,
ნოდარ ამაშუკელი;

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:**

სერგო ვარდოსანიძე,
ნოდარ პავლიაშვილი,
ოთარ მათეშვილი;

**შპს ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:**

თეიმურაზ ტორონჯაძე,
თამაზ უსენაშვილი,
ზაზა რუხაძე,
ქეთევან ჯინჭარაძე;

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:**

მერაბ ხალვაში,
მარინა ქორიძე,
ლეილა ახვლედიანი,
ნერიმან ცინცაძე;

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო 15:33 სთ-ზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

გამომდინარე იქიდან, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ნინო დავლაშერიძე, საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N65/ნ ბრძანების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა მაია მიქაშავიძეს.

სხდომის მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

1. **სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | არქიტექტურული კვლევები |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | არქიტექტურის დოქტორი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაციის კოდი | 1101 |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა მარინე მაისურაძემ და საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, აკადემიის პროფესორებისა და სტუდენტების მეტად უზრუნველყოფა უახლესი საერთაშორისო ელექტრონული თუ წიგნადი სამეცნიერო რესურსებით (საბიბლიოთეკო მასალა ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის ფარგლებს გარედანაც);
- სასურველი იქნებოდა, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და აკადემიის ადმინისტრაციას გაეაქტიურებინა მუშაობა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის (კვლევითი/პრაქტიკული და საგრანტო პროექტები);
- სასურველი იქნებოდა, ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურება დასავლეთის მოწინავე არქიტექტურულ სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან მემორანდუმების საფუძველზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა მკვლევარ არქიტექტორთა მომზადებას. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამა ამოქმედდებოდა 2015-2016 წლებში. მანანა მაისურაძემ აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებდა სისტემატურ მონიტორინგსა და კოორდინაციას სტუდენტებთან და ლექტორებთან ურთიერთობისათვის შემუშავებული სპეციალური პროგრამის მეშვეობით. რომელშიც მონაწილეობას იღებდა 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 6 მოწვეული სპეციალისტი, მათ შორის, სამი უცხოელი ექსპერტი. პოტენციურ დამსაქმებლებს წარმოადგენდნენ საპროექტო ორგანიზაციები, რომლებიც, პედაგოგების სახით, უშუალოდ მიიღებდნენ მონაწილეობას პროგრამის განხორციელებაში. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი რომისა და ფლორენციის უნივერსიტეტებთან, იგეგმებოდა სხვა სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობაც. შედგენილი იყო ბიუჯეტი და დაწესებულება გეგმავდა მის გაზრდას პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა უცხოელი ექსპერტების სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებაში.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ნინო ბარამიძემ, უპასუხა, რომ უცხოელი ექსპერტების ჩართვა თავიდანვე იყო განზრახული პროგრამის განხორციელების პროცესში, რადგან ჩვენს ქვეყანაში უამრავი პრობლემა იყო ქალაქგეგმარებაში. გადაწყვიტეს უცხოელი სპეციალისტების მოწვევა გამოცდილების გასაზიარებლად ქვეყნებიდან, სადაც არსებობდა ანალოგიური პრობლემები, და წარმატებით უმკლავდებოდნენ მათ. წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეტაპზე თანამშრომლობდნენ სამ ექსპერტთან: ბულგარელ და სერბ არქიტექტორებთან და ამ ქვეყნების პროფესიულ კავშირებთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ფორმატში აისახებოდა მათი ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში.

ნინო ბარამიძემ განაცხადა, რომ არსებულ ეტაპზე პროგრამა არ განსაზღვრავდა საკვლევი თემების ჩამონათვალს და პროგრამის ამოქმედებისთანავე მოხდებოდა ექსპერტების ჩართვა კონსულტანტების სახით. მნიშვნელოვანი იქნებოდა აგრეთვე საგრანტო დაფინანსების მოპოვება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ სად არსებობდა აღნიშნული დოქტორანტურის ალტერნატივა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაასახელა ორი დაწესებულება -საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. მან განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ტექნიკურ- საინჟინრო კუთხით იყო ფოკუსირებული, ხოლო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია უფრო კრეატიული მიმართულებით.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, სად დასაქმდებოდნენ დოქტორანტები ხარისხის მიღების შემდეგ და რამდენი დოქტორანტი ეყოლებოდა პროგრამას.

ნინო ბარამიძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე იგეგმებოდა 7-8 დოქტორანტის მიღება, ხოლო რაც შეეხებოდა დასაქმებას, ერთ-ერთი პოტენციური დამსაქმებელი იქნებოდა თავად აკადემია, ვინაიდან დაინტერესებული იყო პროფესიონალი პედაგოგების რესურსით, ასევე საინჟინრო-საპროექტო ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურები.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ იკითხა, თუ არსებობდა შესაბამისი თემატური პუბლიკაციები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თვეში ერთხელ გამოიცემოდა ჟურნალი „აკადემია“ ინგლისური რეზიუმეთი. გამოცემის პარტნიორები

იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტები, რომლებთანაც მემორანდუმები იყო გაფორმებული. ეს უნივერსიტეტები ზრუნავდნენ გამოცემის გავრცელებაზეც.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე, დაინტერესდა კვლევითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კვლევით კომპონენტს შეადგენდა სხვა მოქმედი პროგრამებიდან ინტერდისციპლინარული სემინარი და კოლოკვიუმები. სამწლიანი კვლევის პერიოდში პროგრამა ითვალისწინებდა სამ კოლოკვიუმს - როგორც კვლევით კომპონენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი დოქტორით იყო ფაკულტეტი დაკომპლექტებული და ჰქონდათ მათ მიღებული ხარისხი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდა 6 დოქტორი და უმრავლესობას, ხარისხი მიღებული ჰქონდა მოსკოვში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიგა ბათიაშვილმა, განაცხადა რომ ქალქგეგმარება წარმოადგენდა სახელმწიფოს საზრუნავს და არსებობდა ადამიანური რესურსის დეფიციტი - არ არსებობდა სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქგეგმარების სატრანსპორტო საზოგადოებრივი საკითხის კომპლექსურ მოგვარებას, ამიტომ აუცილებელი იყო ასეთი კადრების შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ფაკულტეტზე მაგისტრანტების რაოდენობით.დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მაგისტანტების რაოდენობა შეადგენდა 17-ს.

2. **ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება: | ინგლისური ფილოლოგია |
| განათლების საფეხური: | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია: | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით |
| სწავლების ენა: | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა: | 240 |
| კვალიფიკაციის კოდი: | 100502 |

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა - ეკატერინე ბაკარაძემ.

დაფიქსირდა შემდეგი ხასიათის რეკომენდაციები:

- სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ბლოკში შედიოდა არამხოლოდ ფილოლოგიის სპეციალობის, არამედ, ჰუმანიტარული მიმართულების სხვა დარგების (რელიგიის

ისტორია, ქრისტიანობა და თანამედროვე გამოწვევები) სასწავლო დისციპლინები. შესაბამისად, აღნიშნული ბლოკი საჭიროებდა ან სახელწოდების ცვლილებას (ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების არჩევითი დისციპლინები) ან აღნიშნული სასწავლო დისციპლინები უნდა ჩანაცვლებულიყო ფილოლოგიის დარგის ადეკვატური სასწავლო კურსით.

- მიზანშეწონილი იქნებოდა, გაზრდილიყო ასარჩევი საგნების რაოდენობა, ვინაიდან წარმოდგენილი რედაქციით აუცილებელი იყო 25 კრედიტის საგნებიდან 15 კრედიტის არჩევა, სტუდენტის არჩევანი კი საკმაოდ მწირი იყო;
- სასურველი იქნებოდა, პროგრამის სასწავლო კომპონენტად ინგლისური ენის ფონეტიკის სასწავლო კურსის დამატებაც, რაც სტუდენტებს გაუღრმავებდა ინგლისურ ენაზე სწორად მეტყველების უნარებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ინგლისური ენის ზოგადი კურსებიც ითვალისწინებდა სამეტყველო უნარების განვითარებას;
- პროგრამა ითვალისწინებდა ორ საერთაშორისო აქტივობას სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის კუთხით, სასურველი იქნებოდა ამ მიმართულებით პროგრამის შესაძლებლობებისა და აღნიშნულის თაობაზე სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა.

ექსპერტის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალი იყო და არ ჰყავდა მოქმედი სტუდენტები, ექსპერტთა ჯგუფი სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს შეხვდა, სადაც გაიმართა დისკუსია პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებთან დაკავშირებით. პროგრამის ძლიერი მხარე გამოიხატა შემდეგში: უნივერსიტეტი სრულად იყო აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ჰქონდა ლინგაფონის გამართული კაბინეტი. პროგრამის განმახორციელებლებს თავად გააჩნდათ შესაბამისი კომპეტენცია სტუდენტების ცოდნა ინგლისურ ენაში გაეზარდათ C1 დონეზე, რაც დასტურდებოდა მათი კვალიფიკაციებითა და სერტიფიკატებით. ასევე, არსებობდა ბევრი ინგლისურენოვანი კურსი. აღნიშნული პროგრამა მოიცავდა თარგმანთმცოდნეობის მოდულს 60 კრედიტის ოდენობით, რაც ითვალისწინებდა დარგობრივი თარგმანის სასწავლო კურსებს სხვადასხვა მიმართულებით - იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური თარგმანის კუთხით და ა.შ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ შეეძლო სტუდენტს არჩევითი საგნების პირველივე სემესტრიდან გავლა, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სტუდენტს ჰქონდა ამის საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, როგორი იყო თანაფარდობა არჩევით და სავალდებულო კურსებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ოთარ მათეშვილმა, განმარტა, რომ ძირითადი სავალდებულო საგნების რაოდენობა შეადგენდა 12-ს. მან აღნიშნა, რომ მოდულში მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი დარგები, თუმცა მიზანშეწონილად მიაჩნდა ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ერთი სემესტრის ფარგლებში არჩევითი და სავალდებულო საგნების რაოდენობით. დაწესებულების მხრიდან უპასუხეს, რომ არსებობდა სამი სავალდებულო საგანი. ასევე, შეთავაზებული იქნებოდა უცხო ენათა ბლოკიც - რაც გულისხმობდა მეორე ენის შესწავლას B1 დონეზე, ხოლო ინგლისური ენის დონე გულისხმობდა C1-ს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა კომპეტენცია ექნებოდა კურსდამთავრებულს აღნიშნული პროგრამის გავლის შემდეგ, სად შეძლებდა დასაქმებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებული დასაქმდებოდა

ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურაში, სადაც ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა პრიორიტეტული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებით არსებობდა პრობლემები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი გათვალისწინებული იყო მე-7 სემესტრში, ანუ მაშინ, როდესაც სტუდენტს ენა უკვე კარგად ექნება ათვისებული. დაწესებულების წარმომადგენლებს თარგმანთან ერთად, სურდათ შეექმნათ პედაგოგიკის მოდულიც, მაგრამ ახალი სამაგისტრო პროექტის გამო, მისი განხორციელება მომავლისთვის გადაიდო.

დაწესებულების რექტორის, სერგო ვარდოსანიძის განცხადებით, იანვარში დაწესებულება გეგმავდა თეოლოგიის სამაგისტრო და შემდგომ სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. მან აღნიშნა, რომ ამ დარგში არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ ინგლისური ენის ცოდნა, რის გამოც, საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება გაუჭირდებოდათ. სწორედ ამ მიზეზით, იგეგმებოდა კონტინგენტის დაკომპლექტება თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებით.

## 3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაციის კოდი | 02 |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა წარადგინა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია გონაშვილმა. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დადებითად შეფასდა, თუმცა დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია, გასწორდეს შემდეგი ტექნიკური სახის საკითხი: მისაღები ენისა და დონის მითითება; (საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აპლიკანტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის საფუძველზე. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ რადგან ბევრი სახელმძღვანელო ინგლისურენოვანია, მოთხოვნაც არის ინგლისური ენის ცოდნა, სასურველი იყო, დაზუსტებულიყო, რა ქულის ზემოთ თვლიდა უნივერსიტეტი ცოდნის დონეს. სამწუხაროდ, ტექნიკური ხარვეზის გამო, საბოლოოდ წარმოდგენილ პროგრამაში ეს არ აისახა.)
- სასურველია მოხდეს ზოგიერთი საგნის სემესტრისა და წინაპირობის დაზუსტება. კერძოდ: არ ისწავლებოდეს პირველ სემესტრში პარალელურად გამოყენებითი მათემატიკა და სასრული მათემატიკა; ხოლო მეოთხე სემესტრში მენეჯმენტის საფუძვლები და სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები; ამასთან,

რეკომენდებულია, მენეჯმენტის პრინციპები წინაპირობად მიეთითოს ისეთი საგნების შესწავლას, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტის, ინოვაციური და კრეატიული მენეჯმენტის საფუძვლები; ხოლო არ მიეთითოს მეწარმეობის საფუძვლებს; ინფორმაციულ ტექნოლოგიების კურსს; ასევე, რადგან ისწავლება ბიზნესის მოდელირების საფუძვლები, საერთაშორისო ბიზნესის შესავალი, ბიზნესის პროგნოზირების საფუძვლები, სასურველია, დაემატოს ბიზნესის საფუძვლების/შესავალი კურსი;

- რეკომენდებულია, მიეთითოს ქართულად ნათარგმნი უცხოური სახელმძღვანელოებიც, თუნდაც დამატებით ლიტერატურაში და სასურველია, მარკეტინგის პრინციპების სავალდებულო ლიტერატურა იყოს კოტლერის მარკეტინიგი და არა კოტლერ-კელერის მარკეტინგ-მენეჯმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის შემუშავებულია სტუდენტების გამოკითხვის ანკეტები. სასურველია, შესაბამისი სამსახურების მიერ, შემუშავებულ და რეალიზებულ იქნეს კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანკეტებიც, ხოლო სტუდენტთა ინფორმირებულობისთვის, დამატებით სასურველია, პროგრამაში დაკონკრეტდეს, რა მოხდება, თუ სტუდენტმა ორჯერ ვერ მიიღო ერთსადაიმავე საგანში დადებითი შეფასება და ამასთან, საგანი სავალდებულოა (პროგრამის მიხედვით, სტუდენტს შეუძლია მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ერთიდაიგივე სასწავლო კურსი აიღოს მხოლოდ ორჯერ, მათ შორის, მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესების მიზნითაც);
- სასურველია, აკადემიური პერსონალის გაძლიერება ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის მიმართულებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, ვიზიტის განმავლობაში გაიმართა მსჯელობა დაწესებულების წარმომადგენლებთან და მათ მზადყოფნა გამოხატეს რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა - ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი მისაღები ენისა და დონის შესახებ აღმოიფხვრა ვიზიტის დროს. ასევე, დაზუსტდა საგნების სემესტრული განაწილებისა და წინაპირობის საკითხები. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული რეკომენდაციაც გათვალისწინებული და ასახული იყო შესაბამის სილაბუსებში. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიიღეს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ანკეტებთან დაკავშირებული რეკომენდაცია და აღნიშნულ საკითხზე დაიწყეს მუშაობა.

**4. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |

| | |
|---|---|
| კვალიფიკაციის კოდი | 02 |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა მაია გონაშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- სასურველია, კვლევითი კომპონენტი, რომელიც შედგება: 5 კრედიტი – სამაგისტრო თემის პროექტისა და 15 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და დაცვისგან, ასევე შეიცავდეს კვლევითი მეთოდების შესახებ სასწავლო კურსს. (რომელიც შეესაბამება კვალიფიკაციის აღმწერის მეორე საფეხურს, რაც ითვალისწინებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და კვლევის მეთოდების კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე);
- სამაგისტრო პროგრამაში სასურველია, ისწავლებოდეს მეორე დონის შესაბამისი აკადემიური წერა ან სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი ან მსგავსი საგანი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის უფრო მაღალ დონეზე შესრულების საშუალებას მისცემს სტუდენტს;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის შემუშავებულია სტუდენტების გამოკითხვის ანკეტები. სასურველია, ასევე შემუშავებულ და რეალიზებულ იქნეს კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანკეტებიც;
- რეკომენდებულია, მიეთითოს ქართულად ნათარგმნი სახელმძღვანელოებიც თუნდაც დამატებით ლიტერატურაში;
- მისაღებ კრიტერიუმში ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენისას, სასურველია, დაკონკრეტდეს რომელი ორგანიზაციების მიერ გაცემულ სერტიფიკატს აღიარებენ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხებზე იმსჯელეს ვიზიტის განმავლობაში და დაწესებულების წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომი დაყვეს ორ ნაწილად, პირველი ნაწილი 5-კრედიტიანი იყო და მოიცავდა სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის პროექტის მომზადებას პირველ სემესტრში, ხოლო მეორე სემესტრში მოხდებოდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგეგმებოდა მისი გათვალისწინება პროგრამაში. ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდნენ რეკომენდაციას ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება მიმდინარე რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამჟამად ხორციელდებოდა 4 საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს წევრი, მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, ასწავლიდნენ თუ არა მაგისტრატურის სტუდენტებს კვლევის მეთოდებს, რაც, მისი აზრით, აუცილებელი იყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებისთვის არსებულ ეტაპზე აკადემიური წერის, როგორც ცალკე საგნის, შეთავაზება ვერ მოხერხდა, თუმცა კვლევის მეთოდები ისწავლებოდა სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტები პრაქტიკულ კვლევას აწარმოებდნენ.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ, დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაცია მისცა, ესწავლებინათ სტატისტიკური კვლევის მეთოდებიც. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტატისტიკური კვლევის მეთოდების კურსი ისედაც ხორციელდებოდა პროგრამაში.

**5.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.**

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | დიპლომირებული მედიკოსი<br>MEDICAL DOCTOR |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კვალიფიკაციის კოდი | 090101 |
| კრედიტების რაოდენობა | 360 |

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ვალიშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ დიპლომირებული მედიკოსის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა იყო ერთსაფეხურიანი და მოიცავდა 360 კრედიტს, რომელიც 6 წელზეა გათვლილი და გათანაბრებულია მაგისტრატურასთან. ეს იყო ნაწილობრივ ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც მოიცავდა კვლევის მეთოდების სწავლებასაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს სივრცეში ამ საგანმანათლებლო პროგრამას არ ჰქონდა ანალოგი და განვითარების დიდი პერსპექტივით გამოირჩეოდა.

თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დადებითად შეფასდა, თუმცა დაწესებულების მიმართ, პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- არჩევითი საგნების საერთო მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს. ელექტიური კურსის არჩევა შესაძლებელია სტუდენტისათვის მხოლოდ მერვე სემესტრში (საქართველოს ისტორია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ოფთალმოლოგია). ექსპერტების აზრით, უმჯობესია, გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი. სასურველია, არჩევითი საგანი „ოფთალმოლოგია“ გადატანილ იქნას ძირითადი საგნების ნუსხაში.
- მოდული „ჰომეოსტაზი“ აერთიანებს 5 სასწავლო კურსს: საშარდე სისტემის ანატომია, ნეფრონის ფუნქციური ანატომია, ორგანიზმში სითხის რეგულირების ფიზიოლოგია, ჰომეოსტაზი და მჟავა–ტუტოვანი ბალანსი, ფარმაკოკინეტიკა. სილაბუსის მიზანში არ არის ასახული საშარდე გზების ანატომიის საკითხები, არც ლიტერატურაში არის მითითებული შესაბამისი სახელმძღვანელო ანატომიაში.

- უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მოდულითა სილაბუსებში (რომელიც აერთიანებს რამოდენიმე საგანს) არ არის გაწერილი თუ როგორ ნაწილდება საათები (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული/სემინარი) მოდულში შემავალ კომპონენტებს შორის. მიზანშეწონილია, დაიხვეწოს სილაბუსების ეს ნაწილი, რაც სტუდენტისათვის უფრო გამჭვირვალეს გახდის მოდულის შინაარსს.
- პროგრამის შემოწმებისას, ექსპერტების მიერ გამოვლენილ იქნა რიგი ტექნიკური უზუსტობა (საათების დაჯამება მოდულის ფარგლებში, კრედიტების სემესტრული ჯამი და ა/შ. მიცემული რეკომენდაციის საფუძველზე, პროგრამაში შეტანილ იქნა ცვლილებები – კორექტირებული პროგრამა, დამტკიცებული ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს მიერ დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები და მიმდინარეობდა რიგი საკითხების გამოსწორების პროცესი: სილაბუსებში მოხდა ლიტერატურის დამატება, არჩევითი საგნების წილის გაზრდა, მოდულების შემადგენელი კურსების დეტალურად გაწერა.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა სამიზნე კონტინგენტით, თუ ვისზე იყო გათვლილი აღნიშნული საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადად გათვლილი იყო უცხოელ სტუდენტებზე, კერძოდ თურქებზე, თუმცა ეს არ ზღუდავდა ქართველ სტუდენტთა მიღებას. დაწესებულებას საწყის ეტაპზე დაგეგმილი ჰქონდა 45 სტუდენტის მიღება.

ექსპერტმა, თამარ ვალიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა აქამდეც იყო წარმოდგენილი სააკრედიტაციოდ, მაგრამ მაშინ ვერ მიიღო აკრედიტაცია, ამჯერად კი გამოსწორებული იყო საკითხი, რის გამოც, უარი ეთქვა უნივერსიტეტს აკრედიტაციის მინიჭებაზე. კერძოდ, ეს ეხებოდა აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციის დადასტურების საკითხს. ექსპერტის თქმით, ამ ეტაპზე ენობრივი კომპეტენცია დოკუმენტალურად დადასტურებული და დანართის სახით წარმოდგენილი იყო განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ, იკითხა პერსონალის შესახებ, ადგილობრივი კადრები ჰყავდათ შერჩეული თუ თბილისიდან მოწვეული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პედაგოგების უმრავლესობა თბილისიდან იყო მოწვეული, ნაწილი კი ადგილობრივი მოსახლე იყო.

**6. სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია |
| ბაკალავრიატი | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი |

| | |
|---|---|
| სწავლების ენა | ქართული |
| კვალიფიკაციის კოდი | 0906 |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ხათუნა საგანელიძემ. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ერთხელ უკვე იყო შემოწმებული, თუმცა, რეკომენდაციების სიმრავლის გამო, მოხდა ამ საგანმანათლებლო პროგრამის უკან გაწვევა, ამჯერად პროგრამა შესწორებული იყო და დასტურდებოდა დოკუმენტურად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის ,,ტრავმატოლოგია, ორთოპედია" თემატიკიდან გამომდინარე, სასურველია საათების (შესაბამისად კრედიტების) რაოდენობის გაზრდა, ვინაიდან 3 კრედიტი დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად არასაკმარისია, გამომდინარე იქიდან, რომ ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ბაკალავრს მოეთხოვება ამ საგნის უფრო ღრმა ცოდნა. კრედიტების გამოთავისუფლება შეიძლება ,,ფარმაკოლოგიის" ხარჯზე, რომელიც მოიცავს 4 კრედიტს.
- სასურველია, IV სემესტრის არჩევითი სასწავლო კურსი ,,რენტგენოლოგია" გადატანილ იქნას V ან VI სემესტრში, როდესაც სტუდენტს ათვისებული ექნება სასწავლო კურსი ,,ტრავმატოლოგია, ორთოპედია", ვინაიდან ,,რენტგენოლოგიის" სასწავლო კურსის თემატიკაში გათვალისწინებულია „ძვლებისა და სახსრების გავრცელებულ დაავადებათა რენტგენოდიაგნოსტიკა", რომლის შესწავლისათვის აუცილებელია ამ პათოლოგიების ცოდნა.
- მიზანშეწონილია, IV სემესტრის სასწავლო კურსი - ,,დამხმარე საშუალებები რეაბილიტაციაში" გადატანილ იქნას მომდევნო სემესტრში, ვინაიდან ამ კურსის თემატიკა მოითხოვს კლინიკური საგნების საბაზისო ცოდნას.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში აისახოს განმეორებით გამოცდაზე დაშვების ვადები და პირობები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, დაფიქრებულიყვნენ ინგლისურენოვანი პროგრამის შექმნაზე, რადგან აღნიშნული მიმართულება მოთხოვნადი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე მუშაობდნენ და პედაგოგებისგან ითხოვდნენ B2 დონის ენის სერტიფიკატს. გარდა ამისა, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ენის შემსწავლელი ცენტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ დამატებითი კითხვები დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

17:15 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:25 საათზე.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს გადაწყვეტილებები:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული კვლევების სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა თვითაცილება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხზე კენჭისყრისას, იმ მიზეზით, რომ ადრე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0);
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 4; წინააღმდეგი - 0).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 17:35 საათზე.

**თავმჯდომარე**
გიორგი კამკამიძე

**მდივანი**
მაია მიქაშავიძე